

კვევის პროცესი, არამედ ასევე ვგებულობთ მის ეკუმენურ კონტაქტებს თვით გერმანულენოვანი ქვეყნების ეკლესიებთანაც. „ავტორის მსჯელობაში და შეფასებებში მთავარი ისაა, რომ იგი გულმოდგინედ შეისწავლის წყაროებს და მათზე დაყრდნობით აანალიზებს პრობლემებს. წიგნს მნიშვნელობას ჰმატებს ასევე გამოუქვეყნებელი ისტორიული წყაროს გამოცემა დანართის სახით. ამრიგად, გერმანულენოვანი მკითხველისათვის ეს წიგნი საქართველოში მართლმადიდებლობის ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა. იგი ხელს შეუწყობს ძველი ქრისტიანი ერის უკეთეს გაცნობას და ხიდის როლს შეასრულებს ევროპასა და აზიას შორის.“

თამარ ჭუმბურიძე, გურამ კუტალაძე

კონსტანტინე ბრეგაძე. ქართული მოდერნიზმი, თბ., მერიდიანი, 2013, გვ. 435.

„ქართული მოდერნიზმი“ – ასე ეწოდება კონსტანტინე ბრეგაძის ნაშრომს, რომელშიც, მისივე თქმით, „თავმოყრილია უკანასკნელ პერიოდში ქართულ, ინგლისურ და გერმანულ სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული სტატიები, მიძღვნილი ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების – კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი“. წიგნს ბოლოში, როგორც იტყვიან – ერთგვარ ბონუსად, რამდენიმე წერილი მოყვება, რომელთაგან ორი – „რეალისტური და მოდერნისტული რომანი“ და „პოსტმოდერნისტული რომანი“, ალბათ, უფრო ამ მიმდინარეობის სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში დანახვას ისახავს მიზნად – რა იყო მანამდე და რა დაიწყო შემდეგ.

ცნობილია, რომ ქართულ სივრცეში მოდერნიზმის კვლევა, რომელიც მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდებოდა სხვადასხვა დროს, ძირითადად, ფრანგულენოვანი, გერმანულენოვანი, ან სლავურენოვანი მოდერნიზმის განვითარების თავისებურებების კონტექსტში განიხილებოდა. კონსტანტინე ბრეგაძე ლიტერატურულ მოდერნიზმზე საუბრისას, ქართველი ავტორების შემოქმედებას გერმანულენოვან სამყაროსა და აზროვნებასთან მიმართებაში განიხილავს. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ჰერმენევტიკული მეთოდით განხილულ მასალაში მკვლევარი ქართველი ავტორების ნააზრევის ნაკვალევს გერმანული აზროვნების წიაღში ეძებს. მისი დასკვნებიც საკმაოდ დამაჯერებელია და ერთიან ჯაჭვად არის აწყობილი. ასე, მაგალითად,

გალაკტიონის შემოქმედებაზე საუბრისას ის ნოვალისის შემოქმედებას იხსენებს, ხოლო გამსახურდია-რობაქიძის შემთხვევაში კარდინალურ ფიგურებად გოეთეს და ნიცშეს ასახელებს – პირველს თავისი ურფენომენის კონცეფციით, მეორეს – მარადიული დაბრუნების იდეით. გოეთეს, ნოვალისის თუ ნიცშეს ხსენება იმაზე მიუთითებს, რომ მკვლევარს, უპირველესად, აინტერესებს მოდერნიზტული ცნობიერების წანამძღვრები – რა უძლოდა წინ ამ მიმართულების ჩამოყალიბებას დასავლეთში და რა გავლენა მოახდინა/რა გზით შემოვიდა ეს ტენდენციები საქართველოში.

ცხადია, დამაჯერებელია მოდერნიზტული ტენდენციების საქართველოში გავრცელების საშუალება თუ საშუალებები. ერთ-ერთ მათგანად დასახელებულია ქართველი ავტორების საკმაოდ ინტენსიური „გასვლა“ დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში და იქაურ კულტურასთან თუ ყოველდღიურობასთან ზიარება. ალბათ, აქედან მოდის სულიერი კულტურის ტექნიკური ცივილიზაციით ჩანაცვლების შესახებ შპენგლერისეული სინანული, რაც უფრო ავტომატურად, ვიდრე გაცნობიერებულად აისახება იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში – ვინაიდან საქართველოს ინდუსტრიული მასშტაბები, ალბათ, ნაკლებად „დამთრგუნველი“ იყო.

გერმანულენოვანი ტენდენციების ქართულ სამყაროში რეცეფცია, ბუნებრივია, იმდროინდელი საქართველოს სოციო-პოლიტიკური კონტექსტითაა განპირობებული – კოლონიური მენტალობიდან თავის დაღწევის მცდელობას ხელსაყრელად ესადაგება თუნდაც ნიცშეს ფილოსოფია, თავისი ზეკაცის იდეალით თუ წარმართობის კულტით.

რაც შეეხება გავლენებს, გამსახურდია-რობაქიძის შემთხვევაში, ცხადია, რომ ისინი გერმანულენოვან სამყაროში ცხოვრობდნენ, მაგრამ საგულისხმოა, რომ გალაკტიონის შემთხვევაშიც გერმანულენოვანი კულტურის „გავლენებზე“ უფრო მეტია საუბარი, ვიდრე ფრანგულენოვანი თუ რუსულენოვანი კულტურებისა. და იმის მიუხედავად, რომ გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ აქ საკმაოდ არგუმენტირებულად, წაკითხულია შოპენჰაუერის ნაშრომის „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“ კონტექსტში, პერიოდულად მაინც ჩნდება ცდუნება, გალაკტიონზე რუსულის გზით შემოსულ ფრანგულ ინსპირაციებზე ვისაუბროთ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი, იმდროინდელი ქართველი ავტორები პირობითად შემდეგ კატეგორიებად შეგვიძლია დავყოთ: მწერლები ა) რომლებიც დროებით დასავლეთში ცხოვრობდნენ (სწავლის ან სხვა მიზნით); ბ) რომლებიც სამუდამოდ დარჩნენ ემიგრაციაში; გ) რომლებიც საქართველოში დარჩნენ, მაგრამ ბოლომდე ერთგულებდნენ ხელოვნების თავისუფლების იდეას; დ) რომლებ-

მაც მოდერნისტული პერსპექტივა სოცრეალისტურით ჩაანაცვლეს. მაგრამ ეს ყველაფერი შემდგომი კვლევის მასალა უფროა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყველაზე თვალშისაცემი კონსტანტინე ბრეგაძის წიგნში, როგორც აღვნიშნეთ, მაინც სტრატეგიული მიდგომაა – ქართული მოდერნიზმის გავლენის წყაროების ლოკალიზაციის თვალსაზრისით. ეს სტრატეგიული მიდგომა თითოეული მწერლის შემოქმედების ანალიზში კარგადაა გამოკვეთილი, თუმცა ყველაზე ნათლად დასახულია წიგნის დასაწყისში – „ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის კომპარატივისტული კვლევა“. სწორედ ამ ნაწილშია გაცხადებული ხედვის რაკურსი და დასახულია გეგმა, თუ როგორ, რა კუთხით და რომელი კონტექსტის გათვალისწინებით უნდა იქნას შესწავლილი ქართული ლიტერატურის ეს პერიოდი. კულტუროლოგიური თვალსაზრისით, მსგავსი კვლევა, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს ქართული კულტურის ინტეგრაციას ევროპულ კულტურულ სივრცეში, რამდენადაც კომპარატივისტული კვლევა, რომელშიც კულტურა მოიაზრება, როგორც ტექსტი და კონტექსტი, ერთდროულად არის როგორც ლიტმცოდნეობითი, ასევე კულტუროლოგიური კვლევა.

ეს სტრატეგიული მიზანდასახულობა უნდა დაედოს საფუძვლად ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის ფუნდამენტურ და მასშტაბურ შესწავლას. კვლევის შედეგად კი, შესაძლოა, ქართული მოდერნიზმი ევროპულის ორიგინალურ ინვარიანტად წარმოჩნდეს, რომელიც გააფართოებს და განავრცობს ევროპული მოდერნიზმის მითოგრაფიულ ნარატივებსა და მითოსური სახისმეტყველებას, ქრონოტოპებს, კულტურულ და ლანდშაფტურ სივრცეებს; სადაც ქართული მოდერნისტული ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურების თუ დაჯგუფებების (ცისფერყანწელები, ფუტურისტები, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე) ცხოვრება და შემოქმედება განხილული იქნება მოდერნიზმის კონცეპტუალურ კონტექსტში, ზოგადკულტურულ ჭრილში – როგორც იური ლოტიმანთან, როდესაც რომანტიზმის ხანას დეკაბრისტების „ყოველდღიური ცხოვრების“ ფონზე განიხილავს. შეიძლება ამ დროს მართლაც ისე აღმოჩნდეს, როგორც თავის დროზე ტიცციანმა თქვა, „არა პარიზი, არამედ თბილისი არის მსოფლიო კულტურის ცენტრი“ და სხვაგვარად გადავწეროთ ისტორია – თუ ისტორია, როგორც წარსულის მოვლენების შესწავლა არა, ლიტერატურის ისტორია მაინც.

გაგა ლომიძე